

დამტკიცებულია

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის
სამინისტროს 2023 წლის პროგრამის „0716 სოფლისა და
სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“
ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების
ხელშეწყობა“ განხორციელების წესის შესახებ“**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის
მინისტრის**

2023 წლის ____ ივლისის

№ __ __ ბრძანებით

**პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“
ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ განხორციელების წესი**

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

- 1. სამინისტრო** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- 2. მინისტრი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი;
- 3. პროგრამა** - 0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- 4. ღონისძიება** - პროგრამის ღონისძიება - სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- 5. მეწარმე** - საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ შესაბამისად განსაზღვრული მეწარმე;
- 6. განაცხადი** - ამ წესის დანართი №1-ის (წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით MS Word და PDF ფორმატში) შესაბამისად განმცხადებლის წინასწარი წერილობითი მოთხოვნა პროგრამის ღონისძიებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მისაღებად;
- 7. დაზუსტებული განცხადება** - ამ წესის დანართი №2 -ის შესაბამისად პოტენციური განმცხადებლის (შერჩევა-შეფასების პირველ ეტაპზე გასული განმცხადებელი) განცხადება;
- 8. განმცხადებელი** - საქართველოს მოქალაქე (სრულწლოვანი - 18 წელს მიღწეული) ფიზიკური პირი და მეწარმე;

9. **პროექტი - ბიზნეს გეგმა** ამ წესის **დანართი №2.2.** (საწარმოს შექმნის ან/და აღჭურვის ან/და გაფართოების შესახებ ამ წესის შესაბამისად მომზადებული დოკუმენტი), რომელიც დეტალურად აღწერს მიმდინარე მდგომარეობას, მიზნებს, ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსებს და აუცილებელ ქმედებებს (ბიზნეს - გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს PDF ფორმატში, ხოლო თანდართული ცხრილები, როგორც PDF ფორმატში, ასევე Microsoft Excel-ში);
10. **განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია** - განმცხადებლის მიერ განაცხადზე ამ წესით განსაზღვრული თანდართული დოკუმენტები;
11. **პოტენციური ბენეფიციარი** - განმცხადებელი, რომლის განაცხადი ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ შერჩევა-შეფასების პირველ ეტაპზე შეფასდა დადებითად და რომელთანაც შესაძლებელია გაფორმდეს თანადაფინანსების ხელშეკრულება;
12. **ბენეფიციარი** - მეწარმე, რომელთანაც გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულება;
13. **მიმწოდებელი** - მეწარმე ფიზიკური (მ.შ. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირ(ებ)ი) ან/და იურიდიული პირ(ებ)ი, ასევე მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირ(ებ)ი, რომლებიც ახორციელებენ ღონისძიების ფარგლებში ბენეფიციარისათვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საქონლის ან/და მომსახურების მიმწოდებელი;
14. **თანადაფინანსების ხელშეკრულება** - ღონისძიების ფარგლებში ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ დადებითად შეფასებული პროექტის, დაზუსტებული და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ წესის **დანართი №3** -ის შესაბამისად სამინისტროსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც მხარეებს შორის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. დანართი №3-ით განსაზღვრული ხელშეკრულება წარმოადგენს პროექტს და მისი ცალკეული დებულებები შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების დადებისას;
15. **ბენეფიციართა შესარჩევი კომისია** - ღონისძიების ფარგლებში მინისტრის ბრძანებით შექმნილი ბენეფიციართა შესარჩევი კომისია;
16. **ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტი** - ღონისძიების ფარგლებში მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში, ასევე შედის სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები;
17. **სახელშეკრულებო ღირებულება** - განაცხადითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის საერთო ჯამური ღირებულება საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით, რაც მოიცავს სამინისტროს თანადაფინანსებას და ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხას;

- 18. სამინისტროს თანადაფინანსება¹** - პროექტის განსახორციელებლად თანადაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამინისტროს მიერ დასაფინანსებელი თანხა;
- 19. ბენეფიციარის თანამონაწილეობა** - პროექტის განსახორციელებლად თანადაფინანსების გარდა, ბენეფიციარის მიერ გასაწევი ფინანსური რესურსი, რომელიც ბენეფიციარის მიერ გამოიყენება თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მხოლოდ პროექტის მიზნებისთვის მიღებული საქონლისა და მომსახურებისათვის, უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- 20. უზრუნველყოფილი ქონება** - ბენეფიციარის მიერ პროგრამის მიზნების შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული უძრავი ან/და მოძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენს ბენეფიციარის მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის საბაზრო ღირებულება არანაკლებია სამინისტროს თანადაფინანსების თანხის მოცულობაზე. ამასთან უძრავი ქონება, რომელზეც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს სასარგებლოდ უნდა დაიტვირთოს იპოთეკით, რომელიც გავრცელდება ასევე პროექტის ფარგლებში შექმნილ უძრავ ქონებაზეც;
- 21. საავანსო ანგარიშსწორება** - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად გაცემული საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, თანადაფინანსების თანხის ბენეფიციარისთვის წინასწარი გადახდა;
- 22. საქონელი** - პროექტის ფარგლებში შესასყიდი/ შესყიდული ძირითად საშუალებებს მიკუთვნებული მანქანა-დანადგარები და ინვენტარი;
- 23. მომსახურება** - ღონისძიების ფარგლებში სამონტაჟო ან/და შენობა-ნაგებობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
- 24. საწარმო** - პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საწარმო;
- 25. პროექტის ბიუჯეტი** - ამ წესის დანართი №1-ის ცხრილი №3, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში) ან/და ინვოის(ებ)ის მაჩვენებლებთან (საქონლის შესყიდვის შემთხვევაში), ამასთან: იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მომსახურების (სამშენებლო, სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები) შესყიდვას, ამ წესის დანართი №1-ის ცხრილი №3-ის შედგენის დროს, სახელშეკრულებო ღირებულებიდან ბენეფიციარის თანამონაწილეობის

¹ თანადაფინანსება - სამინისტროს მიერ ბენეფიციარის უსასყიდლო მიზნობრივი თანადაფინანსება (დახმარება), რომელიც არ წარმოადგენს გრანტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გრანტს და ექვემდებარება დაბეგვრას მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

თანხა რიგითობის მიხედვით ჯერ გათვალისწინებული უნდა იყოს მომსახურების შესყიდვის დაფინანსების მიზნით, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის ჯამური თანხა აღემატება მომსახურების შესყიდვის ღირებულებას, ნამეტი თანხა გათვალისწინებული უნდა იყოს საქონლის შესყიდვის თანამონაწილეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის ჯამური თანხა არ არის საკმარისი შესასყიდი მომსახურების ჯამური ღირებულების დასაფინანსებლად, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულებასა და ბენეფიციარის ჯამურ თანამონაწილეობას შორის სხვაობის დაფინანსება სამინისტროს თანადაფინანსების ფარგლებში;

26. დაზუსტებული განაცხადი - ამ წესის დანართი №2, რომელიც უნდა წარმოადგინოს პოტენციურმა ბენეფიციარმა ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ შერჩევა-შეფასების პირველ ეტაპზე გადასულ განაცხადზე შერჩევა-შეფასების მეორე ეტაპზე განხილვის მიზნით;

27. დაზუსტებული პროექტის ბიუჯეტი - ამ წესის დანართი №2.1., რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული განაცხადის (ამ წესის დანართი №2) დანართის სახით, რომლითაც წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის ფარგლებში შესასყიდი მომსახურებისა და საქონლის დასახელებების, ამავე მომსახურებისა და საქონლის მიხედვით თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობის ოდენობების თაობაზე, ამასთან თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში დანართი №2.1. წარმოადგენს თანადაფინანსების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

28. წარმოების ფინანსური გეგმა - ამ წესის დანართი №2.3., რომელიც შედგენილი უნდა იყოს პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ წარმოების დაწყებიდან - 24 უწყვეტი კალენდარული თვის პერიოდზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული განაცხადის დანართის სახით, ხოლო მაჩვენებლები ასევე ასახული უნდა იყოს ბიზნეს გეგმაში. ამასთან, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში დანართი №2.3. იქნება თანადაფინანსების ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, ოღონდ ყოველწლიური საერთო რაოდენობისა და ღირებულების მითითებით;

29. გასაწევის მომსახურების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - ასეთის არსებობის შემთხვევაში, თანდართული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული განაცხადის დანართის სახით, ხოლო მაჩვენებლები, ასევე ასახული უნდა იყოს ბიზნეს-გეგმაში. ამასთან, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს თანადაფინანსების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

30. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი - ამ წესის დანართი №2.4. და №2.4.1, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული განაცხადის დანართის სახით, ხოლო მაჩვენებლები ასევე ასახული უნდა იყოს ბიზნეს-გეგმაში. ამასთან, თანადაფინანსების

ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში **დანართი №2.4.1.** წარმოადგენს თანადაფინანსების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

31. დაზუსტებული ინვოის(ებ)ი - პროექტის ფარგლებში შესასყიდ საქონელზე მიმწოდებლის მიერ გაცემული დაზუსტებული ინვოის(ებ)ი თანდართული ფასწარმოქმნის ადეკვატურობაზე დასკვნით. წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული განაცხადის დანართის სახით, ხოლო მაჩვენებლები ასევე ასახული უნდა იყოს ბიზნეს-გეგმაში. ამასთან, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში დაზუსტებული ინვოის(ებ)ი წარმოადგენს თანადაფინანსების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

32. პროექტის პრეზენტაცია - პოტენციური ბენეფიციარის მიერ პროექტის პრეზენტაცია (პროექტის პრეზენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით Microsoft PowerPoint-სა და PDF ფორმატში), რომლითაც უნდა დაასაბუთოს განხორციელების მიზანშეწონილობა ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის წინაშე;

33. კომერციული ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;

34. ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები - პირობები, რომელთა შეფასების შედეგის საფუძველზე განმცხადებელი შესაძლებელია გახდეს ბენეფიციარი;

35. სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება - პირველადი წარმოება – პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრევის ჩათვლით); ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას;

36. ცოცხალი ცხოველი - ფრინველი, ფუტკარი, თევზი, ყველა სახის წყალ-ხმელეთის ძუძუმწოვარი ცხოველები, საინკუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი და სხვა;

37. საბრუნავი საშუალება – ის მიმდინარე აქტივი, რომლის ფულად ქცევა შესაძლებელია ერთი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

38. ძირითადი საშუალება – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

39. დასკვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობაზე - კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული საექსპერტო/ აუდიტორული დასკვნა, პროექტით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის/ მომსახურების ფასების საბაზრო ფასებთან შესაბამისობაზე, რომელშიც აღწერილია დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან ერთვის დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ბაზრის კვლევა და ინვოისები;

40. დასკვნა პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულებისა და სარეალიზაციო ფასის ადეკვატურობაზე - კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული საექსპერტო/ აუდიტორული დასკვნა, ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საწარმოებელი პროდუქციის/ მომსახურების თვითღირებულებისა და სარეალიზაციო ფასების ადეკვატურობაზე;

41. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა - პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სამონტაჟო სამუშაოებზე შედგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნა, რომლითაც პროექტით განსახორციელებელი სამუშაოების მიხედვით დასტურდება პროექტის მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობა;

42. დასკვნა მიზნობრიობის შესახებ - წარმოების დაწყებიდან, ორ შემთხვევაში, კერძოდ: პირველ შემთხვევაში - 12 თვის შედეგებზე, აღნიშნული პერიოდის გასვლიდან 2 თვის ვადაში, ხოლო მეორე - შემთხვევაში 24 თვის შედეგებზე, აღნიშნული პერიოდის გასვლიდან 2 თვის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს საწარმო მაჩვენებლების (წარმოებული პროდუქცია, შემოსავლები რეალიზაციიდან, გაწეული ხარჯები, ფინანსური შედეგი და სხვ.) ხელშეკრულების დანართი №2.3-ით (ფინანსური გეგმა) განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შესაბამისობაზე (მ.შ. მაჩვენებლებთან მიმართებით გადახრა და გადახრის განმარტობებული ფაქტორები) სსიპ - ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია. ამასთან იმავე დოკუმენტში ასახული უნდა იქნეს დასკვნა პროექტის საერთო მიზნობრიობის შესრულების შესახებ;

43. გაწეულ მომსახურებაზე ექსპერტიზის დასკვნა - გაწეულ მომსახურებაზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასტურდება გაწეული მომსახურების შესაბამისობა საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან;

44. პროგრამის განხორციელების არეალი - პროგრამა განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, გარდა: ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიისა, რომელიც განსაზღვრული იყო თვითმმართველი ქალაქ-ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 05 აპრილის №64 განკარგულებამდე, ასევე ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ე.წ. სამრეწველო ზონ(ები)სა და ქალაქ ქობულეთის ტერიტორიისა;

45. განაცხადის შესწავლა - სამინისტროს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის განაცხადების განხილვისა და შეფასების განყოფილების მიერ განაცხადის შესაბამისობის დადგენა ამ წესის მოთხოვნებთან, ბენეფიციართა შესარჩევი კომისიისთვის შესწავლის შედეგებზე ინფორმაციის მომზადება-წარდგენა და ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სამინისტროსა და პოტენციურ ბენეფიციარს შორის თანადაფინანსების ხელშეკრულების პროექტის მომზადება;

46. თანადაფინანსება და სახელშეკრულებო უზრუნველყოფა - სამინისტროს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანადაფინანსებისა და სახელშეკრულებო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ თანადაფინანსების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება;

47. მონიტორინგი ადგილზე გასვლით - განმცხადებლის/პოტენციური ბენეფიციარის განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გასვლით გადამოწმება, განაცხადში მითითებული ტერიტორიის მონიტორინგი და მონიტორინგის აქტის შედგენა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი აწესრიგებს სამინისტროს მიერ თანადაფინანსების პირობებს და პროცედურებს;
2. პროგრამის ღონისძიება განკუთვნილია - მეწარმეთათვის, რომელთაც სურთ სოფლად სამეწარმეო (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით) საქმიანობის განხორციელება;
3. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერისთვის პირველად წარმოებასთან ერთად საჭიროა განვითარდეს შემნახველ-გადამამუშავებელი საქმიანობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პროექტების თანადაფინანსება (სუბსიდირება), რაც ხელს შეუწყობს მეწარმეების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით სოფლად სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებას;
4. ღონისძიების ადმინისტრირებას (განაცხადების მიღება - დამუშავება, ბენეფიციართა შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება-მართვა, თანადაფინანსება, მონიტორინგი) ახორციელებს სამინისტრო;
5. პროგრამის დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე და მომდევნო წლების რესპუბლიკური ბიუჯეტი.

მუხლი 3. ღონისძიების მიზანი, ამოცანები, პრიორიტეტები და პირობები

1. **ღონისძიების მიზანი** - მეწარმეებისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

2. ღონისძიების ამოცანები:

2.1. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობა;

2.2. სოფლად ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;

2.3. სოფლად არსებული საწარმოების გადაიარაღებისა და საწარმოო საშუალებებით აღჭურვის ხელშეწყობა;

2.4. სოფლად ახალი სამუშო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

3. ღონისძიების ფარგლებში პროექტების თანადაფინანსება:

3.1. 2022 წლის პროგრამის „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში წარმოდგენილი, გამარჯვებულად გამოცხადებული და 2022 წელს დაუფინანსებელი პროექტები, რაზედაც მხარეებს შორის 2022 წელს გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულებები/ შეთანხმებები. თანადაფინანსება განხორციელდება ხელშეკრულებით/ შეთანხმებით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად;

3.2. ღონისძიების ფარგლებში განაცხადებით წარმოდგენილი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1.500,000.00 ლარს. ამასთან, პროექტები რომელთა ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 200,000.00 ლარს, თანადაფინანსება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 70%, მაგრამ არაუმეტეს 100,000.00 ლარისა, ხოლო პროექტების რომელთა ღირებულება შეადგენს 200,000.00 ლარზე მეტს და არაუმეტეს 1,500,000.00 ლარს, თანადაფინანსება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 50% - ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 250,000.00 ლარისა.

3.3. პროექტების თანადაფინანსება, პროექტის სპეციფიკისა და განხორციელებისთვის საჭირო პერიოდის გათვალისწინებით, ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და ბენეფიციართან გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად, შესაძლებელია ასევე სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე და მომდევნო წლების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან.

4. ღონისძიების პრიორიტეტული მიმართულებები:

4.1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამამუშავების, შეფუთვის, შენახვის, რეალიზაციის, სტანდარტიზაციის და აგროლოჯისტიკის ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მხარდაჭერა;

4.2. აგრომომსახურების მხარდაჭერა;

4.3. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების წარმოება - რეალიზაციის მხარდაჭერა;

4.4. არასასოფლო-სამეურნეო წარმოება.

5. განაცხადების წარდგენის ვადები

ღონისძიების ფარგლებში განაცხადების წარდგენის ვადებს განსაზღვრავს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია.

6. ღონისძიების ფარგლებში დასაფინანსებელი პრიორიტეტული მიმართულებების ბიუჯეტი

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიას უფლება აქვს, საჭიროებების შესაბამისად, განსაზღვროს ცალკეული პრიორიტეტული მიმართულებები და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი თანხების ოდენობა.

7. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა

ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირ(ებ)ს, რომელთაც სურთ სოფლად სამეწარმეო (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით) საქმიანობის განხორციელება.

8. ღონისძიების ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- ა). ტექნიკური გამართულობა და ამ წესის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;
- ბ). პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისობა;
- გ). იდეის დასაბუთებულობა;
- დ). ფინანსური დასაბუთებულობა;
- ე). პროექტის მდგრადობა;
- ვ). გამართული სამოქმედო გეგმა;
- ზ). ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება და ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენება;
- თ). პოტენციური ბენეფიციარის თანადაფინანსების თანხაზე კომერციული ბანკის მიერ სესხის დამტკიცების შესახებ ცნობა / წერილი პროექტის მიზნობრიობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ი). შესაძლო რისკების ანალიზი და მართვის ღონისძიებები;
- კ). ინოვაციურობა;

ლ). პროექტის განხორციელებისთვის საჭირო საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებული უძრავი ან/და მოძრავი ქონება;

მ). სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები (ასეთი არსებობის შემთხვევაში);

ნ). მეწარმის ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის ან/ და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის სათანადო კომპეტენცია და გამოცდილება;

ო). ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის მიმართულების მხარდაჭერა;

პ). ბიომეურნეობა (ორგანული, ეკოლოგიური) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია;

ჟ). ახალგაზრდა განმცხადებელი (18 -დან 35 წლამდე ასაკის კაცი და 18-დან 40 წლამდე ასაკის ქალი);

რ). ქალი განმცხადებელი;

ს). შშმ პირი განმცხადებელი;

ტ). პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი.

9. თანადაფინანსების მიზნობრიობა

სამინისტროს თანადაფინანსება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შექმნა-შესაძენად.

10. შეზღუდვები:

10.1. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს:

ა). 18 წლამდე ასაკის ფიზიკურ პირს;

ბ). უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს;

გ). მოქალაქეობის არმქონე პირებს;

დ). ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ისეთი იურიდიული პირი, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი ან/და საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირი ან/და უცხო ქვეყნის იურიდიული პირი მონაწილეობს, როგორც დამფუძნებელი ან/და ფლობს წილს, პაის და ა.შ.;

10.2. განაცხადის მიზნებისთვის გათვალისწინებულ ქონებაზე არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა და ასევე არ შეიძლება იყოს რეგისტრირებული იპოთეკა, გარდა განაცხადით დაგეგმილი პროექტის მიზნებისთვის საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების ან/და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტის უზრუნველსაყოფად რეგისტრირებული იპოთეკისა;

10.3. ღონისძიების ფარგლებში თანადაფინანსების გამოყენება დაუშვებელია:

ა). საბრუნავი საშუალებებისა (ყველა სახის ნედლეული, სასაქონლო მატერიალური მარაგები, ზოოვეტერინარული მედიკამენტები, ჩითილი, თესლი, მინერალური და ორგანული სასუქები, შხამქიმიკატები და ა.შ.) და საოპერაციო ხარჯების (კომუნალური მომსახურება, ნედლეულის შექმნა, შრომის ანაზღაურება, კრედიტის პროცენტი, მარკეტინგი, რეკლამა, გამოკვლევა, სალიზინგო და სარემონტო, წარმომადგენლობითი ხარჯები და ა.შ.) დასაფინანსებლად;

ბ). მიწისა და არსებული შენობა-ნაგებობის შესყიდვა. აღნიშნული ასევე არ ჩაითვლება ბენეფიციარის თანამონაწილეობად შესაბამისი პროექტის ფარგლებში. წარმოდგენილი უნდა იყოს შესყიდვის დეტალები და დადასტურებული შესყიდვის მზაობა. თუ მიწის / შენობა-ნაგებობების მიღება დაგეგმილია/ მიღებულია სახელმწიფო, რესპუბლიკური, მუნიციპალური საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ, აღწერილი უნდა იყოს ინფორმაცია თანმდევი ვალდებულებების შესახებ;

გ). საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

დ). საწარმოში წილის შესყიდვა;

ე). კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა;

ვ). შესაღობი მასალის (ბოძები, მავთული, ეკალ-მავთული, მავთულის ბადე, ელექტროლობე და ა.შ.) შესყიდვა და ღობის მოწყობა;

ზ). სასათბურე მეურნეობის კონსტრუქცია და მისი მოწყობა;

თ) სასტუმროს (მათ შორის საოჯახო ტიპის სასტუმრო) მშენებლობა-აღჭურვა;

ი) კვების ობიექტების მშენებლობა - აღჭურვა;

კ). ხარჯები, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებსა და ამოცანებს;

ლ). სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები (საქონლის მიწოდების შემთხვევაში), ანგარიშ-ფაქტურა და სხვ.);

10.4. განმცხადებელს უფლება აქვს ღონისძიების ფარგლებში წარადგინოს არაუმეტეს - 1 (ერთი) განაცხადი ამ წესით განსაზღვრული ფორმით (**დანართი №1**) და თანდართული დოკუმენტებით.

11. ღონისძიების განხორციელების ეტაპები:

11.1. ბენეფიციართა შესარჩევი კომისია და ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტი

ა) ბენეფიციართა საბოლოო შერჩევას განახორციელებს ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტი ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე

ბ). ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის და ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტის შემადგენლობას, შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს მინისტრი;

11.2. განაცხადების მიღება:

11.2.1. განმცხადებლისგან განაცხადების (დანართი №1) და განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის მიღება;

11.2.2. განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია:

11.2.2.1. უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

11.2.2.2. პროექტის განხორციელების ადგილის უძრავი ქონების საკუთრების/ იჯარის / აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). იჯარის / აღნაგობის შემთხვევაში, ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის / აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ - 10 წელს. იჯარის / აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“;

11.2.2.3. მშენებლობის თანადაფინანსების შემთხვევაში უძრავი ქონების იჯარა / აღნაგობა განიხილება, მხოლოდ სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის საკუთრება. ამასთან, იჯარის /აღნაგობის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ - 10 წელს. იჯარის / აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“;

11.2.2.4. შესასყიდი საქონლის / მომსახურების ინვოის(ებ)ი ან/ და ხელშეკრულება ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა). მხარეთა რეკვიზიტები;

ბ). საქონლის / მომსახურების ღირებულება (ყველა გადასახადის ჩათვლით) და ტექნიკური პარამეტრები;

გ). მიწოდების ვადები.

11.2.2.5. განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან - მეწარმის შემთხვევაში (თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე);

11.2.2.6. ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ (თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე);

11.2.2.7. საბანკო რეკვიზიტები (თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე);

11.2.2.8. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში - წესდება / კრების ოქმი;

11.2.2.9. შშმ პირის შემთხვევაში - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ან შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი სპეციალური მოწმობა (თუ განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის ერთ-ერთი დამფუძნებელი არის შშმ პირი);

11.2.3. ცალკეული განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამინისტროს მიერ მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია განხორციელდეს განაცხადის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზეც;

11.2.4. ამ წესის ამ მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ წარმოდგენილი განაცხადი შესაბამისი წერილობითი შენიშვნებით უბრუნდება განმცხადებელს და განესაზღვრება დამატებითი ვადა ხარვეზ(ებ)ის აღმოსაფხვრელად. განმცხადებლის მხრიდან განსაზღვრულ დროში ხარვეზ(ებ)ის არ აღმოფხვრის შემთხვევაში განაცხადი შემდგომ ეტაპზე არ გადადის და ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, რაზედაც განმცხადებელს ეცნობება წერილობით.

11.3. განაცხადების რეგისტრაცია და ბაზების ფორმირება:

11.3.1. განაცხადების რეგისტრაციას და ელექტრონულ რეესტრს ახორციელებს სამინისტრო, თანახმად მინისტრის ბრძანებით „პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში განაცხადების მიღების, შესწავლა-შეფასების, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და მართვის პროცედურების შესახებ“ განსაზღვრული პროცედურებით.

11.4. განაცხადების შესწავლა

11.4.1. განაცხადების შესწავლის საფუძველზე დგინდება წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა ამ წესით განსაზღვრულ პირობებთან.

11.4.2. განაცხადების შესწავლის შედეგად ხარვეზ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში წერილობით ეცნობება განმცხადებელს და განესაზღვრება დამატებითი დრო ხარვეზ(ებ)ის აღმოსაფხვრელად;

11.4.3. გამოვლენილი ხარვეზ(ებ)ის განსაზღვრულ დროში განმცხადებლის მიერ არ აღმოფხვრის შემთხვევაში განაცხადი შეფასების შემდგომ ეტაპზე განხილვას არ ექვემდებარება;

11.4.4. პროგრამის და ამ წესით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამის განაცხადს განიხილავს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია, კერძოდ:

11.5. განაცხადის შეფასება (პირველი ეტაპი)

11.5.1. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ განაცხადის განხილვის (მათ შორის განმცხადებელთან გასაუბრების) საფუძველზე განაცხადზე მინიჭებულ ქულათა ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით, მიიღება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილება:

ა). „რეკომენდებულია ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტზე განხილვისთვის“ - განაცხადს სტატუსი ენიჭება თანადაფინანსების თანხის მოცულობის, განსახორციელებელი პროექტის სპეციფიკისა და პროექტის განხორციელების რისკების მოხდენის ალბათობისა და მათი გავლენის დაბალი დონის გათვალისწინებით;

ბ). „განაცხადის შეფასების მეორე ეტაპზე გადასული“ - განაცხადს სტატუსი ენიჭება თანადაფინანსების თანხის მოცულობის, განსახორციელებელი პროექტის სპეციფიკის, პროექტის დაზუსტების საჭიროების (დეტალური ბიზნეს-გეგმა; დასკვნა ფასთა ადეკვატურობაზე; დასკვნა პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულებისა და სარეალიზაციო ფასის ადეკვატურობაზე; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა; მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვები; პროექტის შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან; **დანართი №2; დანართი №2.1.; დანართი №2.2.; დანართი №2.3.; დანართი №2.3.1.; დანართი №2.4.** და სხვ.) გათვალისწინებით და განმცხადებელს ეძლევა რეკომენდაცია დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენაზე ან/და დაზუსტებაზე და განესაზღვრება მათი წარმოდგენის ვადა;

გ). „დისკვალიფიცირებულია“ - განაცხადს სტატუსი ენიჭება განსახორციელებელი პროექტის სპეციფიკის, პროექტის განხორციელების რისკების მოხდენის ალბათობისა და მათი გავლენის კრიტიკული დონის გათვალისწინებით.

11.6. განაცხადის შეფასება (მეორე ეტაპი)

11.6.1. განაცხადის შეფასების მეორე ეტაპზე, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, პოტენციური ბენეფიციარის მიერ სამინისტროში წარსადგენ ან/და დასაზუსტებელ დოკუმენტებს მიეკუთვნება:

1. დაზუსტებული განაცხადი (**დანართი №2**);
2. დაზუსტებული ბიუჯეტი (**დანართი №2.1.**);
3. დეტალური ბიზნეს-გეგმა (**დანართი №2.2.**);
4. დაზუსტებული ინვოის(ებ)ი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასკვნით;
5. დასკვნა პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულებისა და სარეალიზაციო ფასის ადეკვატურობაზე;
6. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თანდართული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით (სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სამონტაჟო სამუშაოების შემთხვევაში);

7. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვები;
8. პროექტის შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან / სისტემებთან / სახელმძღვანელო მითითებებთან;
9. საწარმოს დაზუსტებული ფინანსური გეგმა (დანართი №2.3.);
10. პროექტის განხორციელების დაზუსტებული გეგმა-გრაფიკი (დანართი №2.4.);
11. დასაქმებულთა რაოდენობა
12. პროექტის პრეზენტაცია;
13. კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს უფლება აქვს პოტენციურ ბენეფიციარს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტების წარმოდგენა.

11.6.2. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ პროექტზე მინიჭებულ ქულათა ჯამური რაოდენობის შედეგების გათვალისწინებით მიიღება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილება:

- ა). „რეკომენდებულია ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტზე განხილვისთვის“;
- ბ). „დისკვალიფიცირებულია“.

11.7. ბენეფიციართა სიის ფორმირება

11.7.1. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ შერჩეული განაცხადები („რეკომენდებულია ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტზე განხილვისთვის“) განიხილება ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტის მიერ, რომელიც პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით ახდენს ბენეფიციართა საბოლოო სიის ფორმირებას.